წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა

1. ცნობა ანასეულის ლაბორატორიიდან. ცნობა უნდა იყოს გაცემული კონკრეტულად იმ პირზე, რომელიც აპირებს განაცხადის შემოტანას თანადაფინანსების მისაღებად;
2. აგროტექნოლოგიური გეგმა - აუცილებელი წესით უნდა იყოს დედანი და დამოწმებული უნდა იყოს ანასეულის მიერ. აგროტექნოლოგიური გეგმა უნდა იყოს გაწერილი 36 თვეზე.
3. ცნობა სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან აგროტექნოლოგიური გეგმის შესაბამისობის შესახებ რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოებთან.
4. სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/ აუდიტორული დასკვნა პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, რომელსაც აუცილებელი წესით თან უნდა ჰქონდეს დართული საქონლის/მომსახურების ინვოის(ებ)ი ან/და ხელშეკრულება. მარეაბილიტირებელი კომპანიის მიერ გაცემული ინვოისი/ხელშეკრულება (დედანი) აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალს, სარეაბილიტაციო პლანტაციის ჯამურ ფართობს და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამურ ღირებულებას;
5. ბრძანება კოოპერატივისთვის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მინიჭების შესახებ;
6. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან განახლებული;
7. ცნობა ან ამონაწერი ბანკიდან საკუთარი თანამონაწილეობის თანხის არსებობის შესახებ - დედანი, მაქსიმალურად მოკლე ვადიანი;
8. ცნობა შემოსავლებიდან დავალიანების არარსებობობის შესახებ, დედანი;
9. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, განახლებული;
10. კრების ოქმი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კომპანიის სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში, თანხმობა სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“-ში მონაწილეობის შესახებ და კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის (ს/კ მითითებით) იპოთეკით დატვირთვაზე;
11. პოტენციური ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;
12. სააგენტოს მიერ მოთხოვნილი სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.